ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1040270

ნომერი: AR1181627

თარიღი : 12.12.2013

გაცემის თარიღი : 16.12.2013

გაცნობის თარიღი : 30.12.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , საზოგადოებრივი ცენტრის , ტერიტორიაზე V და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 7/1) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარო მეშველიანი პ/ნ 22001008235
- თეთრიწყარო ს. გოლთეთი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2013 წლის 12 დეკემბრის #AR1181627 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.11.10.007.024 მიწის ნაკვეთზე ავტოგაზგასამართი სადგურის ასაშენებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ აღნშნულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო და რესტორანი) ასაშენებლად გაცემულია #133 (25.02.2009) გეგმარებითი დავალება და შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ბრძანება №757821), რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს მისი სამშენებლო განვითარება. თუ რაიმე ცვლილების განხორციელება გსურთ, შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების გეგმაში შევიდეს შესაბამისი კორექტირება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge